საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/11509
15/07/2021

11509-2-08-2-202107151710

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის (F2) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსების მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის მიმდებარედ მდინარე რიკოთულას მარცხენა სანაპიროზე, 2020 წლის თებერვალში შერჩეული იქნა №12 სანაყაროს მოსაწყობად შესაბამისი ტერიტორია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 23 მარტის №3099/01 წერილით სამინისტროს მიერ შეთანხმებული იქნა №12 სანაყაროს მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია, თუმცა ამავე წერილში სამინისტროს მიერ შეთავაზებული იქნა გაბიონის ნაგებობაში ფსკერზე დაფენილი ლეიბების მოქსოვა 3,7 მმ დიამეტრის მავთულით.

სამინისტროს რეკომენდაციის გათვალისწინებით განხორციელდა №12 სანაყაროს ნაპირდაცვითი ნაგებობის სკრინინგის განცხადების განახლება და შემუშავებული პროექტის მიხედვით, სანაყაროზე შესაძლებელია საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის F2 მონაკვეთის (ბორითი-ხევი) მშენებლობისას გამონამუშევარი 252582,00 $მ^3$ ფუჭი ქანის განთავსება.

ფუჭი ქანების №12 სანაყაროსა და ნაპირდაცვითი ნაგებობის (გაბიონის კონსტრუქციის) მოწყობის პროექტს საფუძვლად დაედო შესაბამისი აზომვითი და საძიებო კვლევითი სამუშაოები. პროექტი ითვალისწინებს ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობას და მდინარის ნაპირის დაცვას გვერდითი ეროზიისა და დატბორვისგან.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, ელექტრონული სახით გიგზავნით, აღნიშნულ პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია.

პატივისცემით,

ლევან კუპატაშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე